ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №271

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
გამარტივებული შესყიდვა
(საქონლის შესყიდვა)

ზესტაფონი 27/ნოემბერი/2019 წელი

ერთის მხრივ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში _ შემსყიდველი) წარმოდგენილი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის გიორგი გოგლიჩიძის სახით (მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. N 11) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "ულტრა" წარმოდენილი მისი დირექტორის ირაკლი კარბელაშვილის (შემდგომში _მიმწოდებელი) სახით (მისამართი: თბილისი, ბოხუას ქ.N4) ვმოქმედებთ რა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 25/11/2019 წლის N3973-43 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში -,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. ,,ხელშეკრულების საერთო ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. ,,შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. ,,მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. ,,საქონელი" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად საქონლის შესყიდვა კლასიფიკატორის კოდით - **38653400 მონეტარული ზღვრების დაცვით.**

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტი

3.1. შესყიდვის ობიექტია - საქონლის შესყიდვა. კერძოდ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიისთვის პროექტორის ეკრანი: Tripod 2E screen 4:3 100" 2.0*1.5m - 0043100T

მუხლი 4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1. საქონლის შესყიდვის ფასი განისაზღვრება ლარებში.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისიწინებული საქონლის შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს - **150 ლარი.**

4.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიღება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება.

დ) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის აღმოფხვრა.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს წუნდებული საქონელი ახლით.

ბ) მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის ,,3.1" პუნქტით გათვალისწინებული საქონელი შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს წერილობითი მოტივირებული პასუხი ყველა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხზე;

დ) კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

5.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

6.1. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან **2019 წლის 09 დეკემბრის ჩათვლით.**

6.2. საქონლის მიწოდების ადგილი – ზესტაფონი, წერეთლის ქ. N 11.

მუხლი 7 . ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

7.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის ნაწილისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

7.3. ინსპექტირებას განახორციელებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 მარტის N43 258 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი;.

მუხლი 8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც ფორმდება წერილობით ფორმით და დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის დასკვნისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

მუხლი 9. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

9.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში – ლარებში.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

9.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება და ცვლილებ(ებ)ის შეტანა

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ, მაგრამ სამუშაოს ან/და მომსახურების შესრულების ან/და საქონლის მიწოდების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 10 დღისა უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, დაუყონებლივ, (10 დღიან ვადაში) უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. ნებისმიერი შეტყობინება, წერილობითი ფორმით, მხარეთა მიერ ხელმოწერილი უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს და ჩაბარდეს მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

10.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებ(ებ)ის შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია, ამ მუხლის „11.1." პუნქტის შესაბამისად.

10.4. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

10.5. ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევა არ ჩაითვლება ბრალეულ დარღვევად, თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, განსახორციელებელი ქმედება სავალდებულოდ საჭიროებს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემას, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო არ ახდენს აღნიშნულზე ხელშეკრულების მხარის მოთხოვნის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვას ან უსაფუძვლოდ უარს ეტყვის ხელშეკრულების მხარეს ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე;

10.6. წინამდებარე მუხლი არ მოიცავს ფორსმაჟორულ გარემოებებს და მათი რეგულირება ხდება სხვა მუხლით."

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (ხელშეკრულების შეწყვეტა)

11.1.ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯამური ღირებულების 0, 02 % ოდენობით.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2.ხელშეკრულება ვადამდე ადრე შეიძლება შეწყდეს:

ა) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

ა.ბ)პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

ა.გ.) მიმწოდებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს, შემსყიდველს უფლება აქვს დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ მიმართოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

გ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11.3. მიმოწდებელი, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში გადაიხდის ჯარიმას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 20(ოცი)%–ის ოდენობით.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2020 წლის 20 იანვარი ჩათვლით.

მუხლი 13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

14.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

14.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 03 ეგზემპლიარად, რომელსაც აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლი 17. მხარეთა იურიდიული მისამართები, რეკვიზიტები, ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერა	**შ.პ.ს. „ულტრა“**
მერი	**დირექტორი**
გიორგი გოგლიჩიძე	ირაკლი კარბელაშვილი
_____	_____
სახელმწიფო ხაზინა-TRESGE22	სს „თიბისი ბანკი“
ხაზინის ერთიანი ანგარიში 3001900000	ბანკის კოდი: TBCBGE22
ს/კოდი: **230087045**	ა/ანN GE41TB7399736020100003
მის: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N11	ს/კოდი:206258182
ტელ: 0(492) 25 26 26	მის: თბილის, ბოხუას ქ.N4

Zestafoni Municipality Digitally signed by Zestafoni Municipality Date: 2019.11.27 11:13:00 +04'00'

LLC Ultra Digitally signed by LLC Ultra Date: 2019.11.27 12:14:08 +04'00'

N 3973-43
25/11/2019

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გიორგი გოგლიჩიძეს

ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტის

ბორის ჭიჭინაძის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის მერიისთვის საჭიროა შევიძინოთ ერთი ცალი პროექტორის ეკრანი, რომლის ზომაა 2.0X1.5 მ-ზე, მოკვლევით დადგინდა, რომ მისაღები პირობები შემოგვთავაზა შპს ,,ულტრამ", თანხით-150 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს შპს ,,ულტრასთან".

გთხოვთ, ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულმა განყოფილებამ მოამზადოს შესაბამისი ხელშეკრულება.

დანართი 3 ფურცელზე.

ბორის ჭიჭინაძე

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ადმინისტრაციული სამსახური

შ.პ.ს. ულტრა კომპიუტერული ტექნიკა, აქსესუარები, მომსახურება
L.T.D. ULTRA Computer Hardware, Accessories, Service

მის: ქ.თბილისი ნოდარ ბოხუას 4; ს.ნ 206258182
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. "თიბისი ბანკი" www.ultra.ge
ბანკის კოდი: TBCBGE 22, ანგარიშის N GE41TB7399736020100003

ინვოისი: თარიღი: 11/25/19

მყიდველი: თვითმმართველი ერთეული ზესტაფონის მუნიციპალიტეტი ს/კ 230087045
მისამართი:

ტიპი	საქონლის/მომსახურება	რაოდ.	ფასი	ჯამი
1	პროექტორის ეკრანი: Tripod 2E screen 4:3 100" 2.0"1.5m - 0043100T	1	150.00	150.00
				150.00

თანხა მოგემულია ლარში დღგ-ს ჩათვლით

დირექტორი: ი.კარბელაშვილი

მენეჯერი: გიორგი ბუტიკიშვილი **მობ:** 995 574-77-21-43
ელ. ფოსტა: giorgi.butikishvili@ultra.ge **ტელ:** 995 322 77 44 88 ext 1023

25-11-1969

მოკვლევის ფურცელი №

მომწოდებელი [illegible]

საიდენტიფიკაციო კოდი [illegible] მისამართი [illegible]

ბანკის დასახელება: [illegible] ბანკის კოდი:

ბანკის ანგარიში № [illegible] ტელ: [illegible]

ელ-ფოსტა -------

შემსყიდველი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია

საიდენტიფიკაციო კოდი: 230087045 მისამართი: ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ. #11

სახელმწიფო ხაზინა - TRESGE 22

ხაზინის ერთიანი ანგარიში 3001900000 ტელ(0492)25 26 26

#	მასალების დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთ.ფასი (ლარი)	თანხა სულ (ლარი)	შენიშვნა
1.	[illegible]	[illegible]	1	170	170	[illegible] 2X1,50
2.						
3.						

[illegible]

[illegible]

მიღების ფურცელი № [illegible]

მომწოდებელი [illegible]

საიდენტიფიკაციო კოდი [illegible] მისამართი [illegible]

ბანკის დასახელება: [illegible] ბანკის კოდი: [illegible]

ბანკის ანგარიში №_______ ტელ: 25 94 97

ელ-ფოსტა -------

შემსყიდველი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია

საიდენტიფიკაციო კოდი: 230087045 მისამართი: ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ. #11

სახელმწიფო ხაზინა - TRESGE 22

ხაზინის ერთიანი ანგარიში 3001900000 ტელ(0492)25 26 26

#	მასალების დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთ.ფასი (ლარი)	თანხა სულ (ლარი)	შენიშვნა
1.	[illegible]	[illegible]	1	165	165	[illegible]
2.						
3.						

[illegible]

[illegible]

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

2019 წლის 27 ნოემბერი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 მარტის №43/258 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრები ვადასტურებთ რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის თანახმად არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში შ.პ.ს. ,,ულტრა"-ს დირექტორთან ირაკლი კარბელაშვილთან 150 ლარის ღირებულების საქონლის (პროექტორის ეკრანი) შესყიდვასთან დაკავშირებით.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი გოგლიჩიძე _____

1. ერემია სალაძე (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი)_____
2. ბორის ჭიჭინაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)_____
3. გიორგი ორჯონიკიძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)_____
4. ზურაბ სირდაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)_____
5. თეიმურაზ ფერაძე (სამუშაო ჯგუფი წევრი)_____